ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1070916

ნომერი: AR1183250

თარიღი : 09.12.2013

გაცემის თარიღი : 08.01.2014

გაცნობის თარიღი : 08.01.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , I და III მ/რ შორის (ნაკვ.1/32) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სეფერთელაძე პ/ნ 01030022760
- თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ. N 52/54

ორგანიზაცია:

- დ პლუსი კოდი: 202907541

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.10.2008 წ. #994 ქალაქმშენებლობითი პირობებისა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 დეკემბრის #01/1937 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 09 დეკემბერს #AR1183250 განცხადებით მომართა შპს „დ პლუსი“–ს დირექტორმა დავით ხარაბაძემ და მის მიერ უფლებამოსილმა პირმა ლევან სეფერთელაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 16.10.2008 წ. დამტკიცებული #994 ქალაქმშენებლობითი პირობებისა და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 დეკემბრის #01/1937 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ ქ. თბილისში, დიდი დიღმის I და III მ/რ–ს შორის, შპს „დ პლუსი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #01/32) მრავალფუნქციური შენობის (საცხოვრებელი, საოფისე) განთავსების მიზნით დამტკიცდა #994 ქალაქმშენებლობითი პირობები. ხოლო, ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 დეკემბრის #01/1937 ბრძანებით შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად ირკვევა, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.10.06.01.032) გაიმიჯნა ორ საკადასტრო ერთეულად. #01.10.06.001.127 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს მერაბ თავშავაძე, ხოლო #01.10.06.001.128 საკადასტრო ერთეულის მესაკუთრეს წარმოადგენს საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული დამკვეთი – შპს „დ პლუსი“.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლში მითითებული საფუძვლების გარდა შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან დამკვეთს აღარ გააჩნია სამსახურის მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების ინტერესი, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა ძალადაკარგულად გამოაცხადოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.10.2008 წ. #994 ქალაქმშენებლობითი პირობები და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 დეკემბრის #01/1937 ბრძანება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტისა შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 16.10.2008 წ. #994 ქალაქმშენებლობითი პირობები და ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 17 დეკემბრის #01/1937 ბრძანება.
2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.